საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-335

24/03/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ლაჯანურჰესისა და „წყალტუბო 220“-ს ქვესადგურის დაკავშირებული არსებული 220 კვ-იანი ეგხ „დერჩი“-ს №74 საყრდენიდან 220/110/10 კვ-იანი ქვესადგურ „წყალტუბო“-ს შორის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „დერჩი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ლაჯანურჰესისა და „წყალტუბო 220“-ს ქვესადგურის დაკავშირებული არსებული 220 კვ-იანი ეგხ „დერჩი“-ს №74 საყრდენიდან 220/110/10 კვ-იანი ქვესადგურ „წყალტუბო“-ს შორის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „დერჩი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №16 (31.03.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2017 წლის №16 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად, ძალადაკარგულად ცხადდება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ლაჯანურჰესისა და

„წყალტუბო 220“-ს ქვესადგურის დაკავშირებული არსებული 220 კვიანი ეგხ „დერჩი“-ს №74 საყრდენიდან 220/110/10 კვიანი ქვესადგურ „წყალტუბო“-ს შორის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „დერჩი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 3 აპრილის №ი-167 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2017 წლის №16 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ლაჯანურჰესისა და „წყალტუბო 220“-ს ქვესადგურის დაკავშირებული არსებული 220 კვ-იანი ეგხ „დერჩი“-ს №74 საყრდენიდან 220/110/10 კვ-იანი ქვესადგურ „წყალტუბო“-ს შორის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „დერჩი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №16; 31.03.2017);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცხადდება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ლაჯანურჰესისა და „წყალტუბო 220“-ს ქვესადგურის დაკავშირებული არსებული 220 კვიანი ეგხ „დერჩი“-ს №74 საყრდენიდან 220/110/10 კვიანი ქვესადგურ „წყალტუბო“-ს შორის 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „დერჩი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 3 აპრილის №ი-167 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი